



კავკასიის ბარომეტრი 2015

კითხვარი

V1.	შინამეურნეობის საიდენტიფიკაციო ნომერი [ივსება ინტერვიუერის მიერ]	_ _ _ _ _ _ _ _ _
V2.	ინტერვიუერის კოდი [ივსება ინტერვიუერის მიერ]	_ _ _ _

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მიესალმეთ ოჯახის წევრს, რომელმაც კარი გაგიღოთ, ქართულ ენაზე. თუ მან არ გიპასუხათ ქართულად, სცადეთ სომხური ან აზერბაიჯანული, თუ ეს ენები გამოიყენება თქვენს კლასტერში. თუ ოჯახის წევრი ვერ გიპასუხებთ ვერცერთ ენაზე, შეიყვანეთ შესაბამისი ინფორმაცია ინტერვიუერის ფორმაში.]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! დარწმუნდით, რომ ესაუბრებით შინამეურნეობის ზრდასრულ წევრს (18 წლის ან უფროსი). დაიმახსოვრეთ შემდეგი ტექსტი და მიმართეთ ოჯახის წევრს, რომელმაც კარი გაგიღოთ, იმავე ენაზე, რომელზეც იგი მოგესალმათ. თუ პიროვნება, რომელმაც კარი გაგიღოთ, უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, შეიყვანეთ შესაბამისი ინფორმაცია ინტერვიუერის ფორმაში.]

გამარჯობა! ჩემი სახელია *სახელი და გვარი*. მე გახლავართ კვლევითი ცენტრის, სი-არ-არ-სი საქართველოს წარმომადგენელი. ეს არის დამოუკიდებელი, არაკომერციული კვლევითი ცენტრი. ჩვენ ვატარებთ ოჯახების ყოველწლიურ გამოკითხვას და, თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ, რათა უკეთ შევისწავლოთ მოსახლეობის შეხედულებები და ცხოვრების პირობები ჩვენს ქვეყანაში. თქვენი ოჯახი შერჩეული იქნა შემთხვევითი წესით ისევე, როგორც რამდენიმე ათასი სხვა ოჯახი

საქართველოში. კვლევის შედეგების სანდოობა დამოკიდებულია თქვენს თანხმობაზე, მონაწილეობა მიიღოთ ამ გამოკითხვაში.

გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ყველა პასუხის ანონიმურობა სრულად იქნება დაცული. თქვენი ოჯახის წევრის ვინაობა არ დაუკავშირდება მის მიერ გაცემულ პასუხებს; ასევე, კონფიდენციალურად იქნება შენახული თქვენი მისამართი. ჩვენი ორგანიზაციის სახელით გთხოვთ, დაგვებმართოთ უკეთ გავიგოთ, თუ რას ფიქრობს ხალხი საქართველოში.

ეს ინტერვიუ დაახლოებით 50 წუთს გაგძელებს. თუმცა, ზუსტი ხანგრძლივობა თქვენი ოჯახის წევრების რაოდენობაზეა დამოკიდებული. თქვენი დახმარებით შევარჩევთ თქვენი ოჯახის იმ სრულწლოვან წევრს, რომელიც უნდა გამოგვკითხო. ეს შერჩევა სპეციალური პროცედურის მეშვეობით უნდა მოხდეს, რომელიც შერჩევის შემთხვევითობას უზრუნველყოფს. ამ პროცედურის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

მოდით, ვისაუბროთ თქვენი ოჯახის შესახებ. „ოჯახში“ ჩვენ ვგულისხმობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ოფიციალური საცხოვრებელი ადგილისა, და აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები. გთხოვთ, ვისაუბროთ თქვენი ოჯახის მხოლოდ იმ წევრებზე, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობენ და კვირაში 4 ღამეს მაინც ატარებენ ამ სახლში.

V4. გთხოვთ, მითხრათ, ამ განმარტების თანახმად, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, თქვენი ჩათვლით?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ რიცხვი.]

____|____| ადამიანი

(არ ვიცი)	-1	არგამო- პასუხება
(უარი პასუხზე)	-2	

V5. მათ შორის, რამდენი სრულწლოვანი ადამიანი (18 წლის ან უფროსი) ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, თქვენი ჩათვლით?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ რიცხვი.]

____|____| სრულწლოვანი

(არ ვიცი)	-1	არგამო- პასუხება
(უარი პასუხზე)	-2	

V6a. გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის წევრი ყველა სრულწლოვანი მამაკაცის ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ ეს ინფორმაცია ცხრილი V6-ის სვეტებში “სახელი“, “სქესი” და “ასაკი“.]

V6b. ახლა გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის წევრი ყველა სრულწლოვანი ქალის ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ ეს ინფორმაცია ცხრილი V6-ის სვეტებში “სახელი“, “სქესი” და “ასაკი“.]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თუ ოჯახში 6-ზე მეტი სრულწლოვანი წევრია, მოუსმინეთ ოჯახის წევრს, მაგრამ ცხრილში V6 ჩაწერეთ ინფორმაცია მხოლოდ ოჯახის 6 წევრის შესახებ, მათი დასახელების თანმიმდევრობით.]

ცხრილი V6

#	სახელი	სქესი	ასაკი	ოჯახის შერჩეული წევრი
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

შინამეურნეობის ნომერი (გადმოიტანეთ ბოლო ორი ციფრი V1-დან): ____ ____

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მოიშველიეთ კიშის ცხრილი და, შინამეურნეობის ნომრის საფუძველზე, დაადგინეთ კოდი ცხრილისთვის V7. შემოხაზეთ კიშის ცხრილის კოდი ცხრილი V7-ის სვეტში „კოდი“.]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** გამოიყენეთ **ცხრილი V7** რესპონდენტის შესარჩევად. იპოვეთ ციფრი კიშის ცხრილის შესაბამისი კოდის და **V6 ცხრილში** შეყვანილი ოჯახის სრულწლოვანი წევრების რაოდენობის გადაკვეთაზე.]

ცხრილი V7

კოდი:	ოჯახის წევრების რაოდენობა (ცხრილიდან V6)					
	1	2	3	4	5	6 ან მეტი
	შეარჩიეთ ოჯახის სრულწლოვანი წევრი, ვისი ნომერიც (ცხრილში V6) არის:					
A	1	1	1	1	1	1
B1	1	1	1	1	2	2
B2	1	1	1	2	2	2
C	1	1	2	2	3	3
D	1	2	2	3	4	4
E1	1	2	3	3	3	5
E2	1	2	3	4	5	5
F	1	2	3	4	5	6

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** დაუბრუნდით **ცხრილს V6** და ჩაწერეთ კოდი '1' სვეტში „ოჯახის შერჩეული წევრი“, იმ მწკრივში, სადაც ჩაწერილია შერჩეული რესპონდენტი. ოჯახის ყველა დანარჩენი წევრის გასწვრივ ჩაწერეთ კოდი '0'.]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** რესპონდენტის შერჩევის შემდეგ მიმართეთ ოჯახის წევრს შემდეგი კითხვებით.]

თქვენი ოჯახის წევრი, რომელსაც უნდა ვესაუბრო, არის [ოჯახის შერჩეული წევრის სახელი, სქესი და ასაკი]	
ამჟამად ეს ადამიანი სახლში იმყოფება?	1 დიახ 0 არა
თუ „დიახ“:	თუ შეიძლება ამ ადამიანთან გასაუბრება?
თუ „არა“:	თუ დაბრუნდება სახლში დღეს, ხვალ ან ზეგ?
თუ „არა“:	დიდი მადლობა! → არგამოპასუხება. შეავსეთ ინტერვიუერის ფორმა. [ინტერვიუერის საყურადღებოდ! თქვენ არ გაქვთ უფლება შეცვალოთ ოჯახის შერჩეული წევრი!]
თუ „დიახ“:	შეავსეთ ინტერვიუერის ფორმა და შეათანხმეთ თქვენი დაბრუნების დრო (დღე და საათი).

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** თუ შერჩეული რესპონდენტი არ არის სახლში და არ დაბრუნდება უახლოეს დღეებში, მადლობა გადაუხადეთ ოჯახის წევრს და დააფიქსირეთ არგამოპასუხება ინტერვიუერის ფორმაში.]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თუ რესპონდენტმა უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, მადლობა გადაუხადეთ მას/ოჯახის წევრს და დააფიქსირეთ არგამოპასუხება ინტერვიუერის ფორმაში.]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თუ კლასტერში ერთზე მეტი ენა გამოიყენება, დაუსვით კითხვა L1 იმავე ენაზე, რომელზეც შერჩეული რესპონდენტი მოგესალმათ. თუ კლასტერში გამოიყენება მხოლოდ ერთი ენა, დაიწყეთ ინტერვიუ L1 კითხვის დასმის გარეშე.]

L1. რა ენაზე ისურვებდით ამ ინტერვიუს ჩატარებას? [წაიკითხეთ] [INTLANG]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაიკითხეთ მხოლოდ ის ენები, რომლებსაც შეთავაზებაც ხდება ამ კლასტერში.]

<i>სომხურად</i>	1	→ დააფიქსირეთ არგამოპასუხება ინტერვიუერის ფორმაში
<i>აზერბაიჯანულად</i>	2	
<i>ქართულად</i>	3	
<i>(ამ ენებიდან არცერთი)</i> სხვა ენა: _____	4	
<i>(არ ვიცი)</i>	-1	
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2	

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს ენას, დაიწყეთ კითხვარის შევსება შესაბამის ენაზე.]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თუ რესპონდენტი არცერთ ენას არ აარჩევს, ეს არის არგამოპასუხება. თუ შემლებთ ამის დადგენას, მიუთითეთ ის ენა, რომელზეც რესპონდენტს სურდა ინტერვიუს ჩატარება („სხვა ენა“ კითხვაში L1). მადლობა გადაუხადეთ რესპონდენტს და დააფიქსირეთ არგამოპასუხება ინტერვიუერის ფორმაში.]

T1. ინტერვიუს თარიღი: [INTDATE] |___|___| |___|___|
დღე თვე

T2. ინტერვიუს დაწყების დრო: [INTSTART] |___|___| |___|___|
საათი წუთი

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! გამოიყენეთ 24-საათიანი ფორმატი.]

1. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე საქმიანობას. გთხოვთ, მითხრათ, რომელ მათგანში მიიღეთ მონაწილეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თანმიმდევრობით წაიკითხეთ ჩამონათვალი. თითო პასუხი ყოველ მწკრივში.]

		დას	არა	(არ მიესადაგება)	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1.	დაეხმარეთ მეზობელს ან მეგობარს საოჯახო საქმეებში ან ბავშვის მოვლაში. [ACTCHORE]	1	0	-5	-1	-2
2.	დაეხმარეთ ვინმეს დავის მოგვარებაში. [ACTRESDT]	1	0	-5	-1	-2
3.	მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში (სადარბაზოს, სკოლის ან ეკლესიის ეზოს, ან სხვა მსგავსი ადგილის). [ACTCLEAN]	1	0	-5	-1	-2
4.	წახვედით თეატრში ან კინოში. [ACTTHEA]	1	0	-5	-1	-2
5.	წახვედით რესტორანში. [ACTREST] [ინტერვიუერის საყურადღებოდ! მათ შორის – პიცერია, სახინკლე, მაკდონალდსი და ა.შ.]	1	0	-5	-1	-2
6.	იყავით მოხალისე, ანუ შეასრულეთ რაიმე საზოგადოებრივი სამუშაო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. [ACTVLNT]	1	0	-5	-1	-2
7.	გააგზავნეთ წერილი, ან დარეკეთ გაზეთში, ტელევიზიაში ან რადიოში. [ACTMEDIA]	1	0	-5	-1	-2
8.	ინტერნეტის მეშვეობით გააკეთეთ კომენტარი ელექტრონული მედია პუბლიკაციის ან ვიდეოს შესახებ. [ACTINTNT]	1	0	-5	-1	-2
9.	შეწირეთ ფული ეკლესიას ან მეჩეთს. [ACTDNCH]	1	0	-5	-1	-2
10.	შეწირეთ თანხა არარელიგიური ქველმოქმედების მიზნით, მათ შორის - მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან მიეცით ფული მათხოვარს. [ACTNRCH] [ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ იგულისხმება ფულის შეწირვა ეკლესიისთვის ან მეჩეთისთვის.]	1	0	-5	-1	-2
11.	დაესწართ საჯარო შეხვედრას. [ACTPBLM] [ინტერვიუერის საყურადღებოდ! იგულისხმება მოსახლეობის შეკრება საზოგადოებისთვის ან ამა თუ იმ თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხების/პრობლემების განხილვის მიზნით.]	1	0	-5	-1	-2
12.	ხელი მოაწერეთ პეტიციას ან მოთხოვნას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით. [ACTSPET]	1	0	-5	-1	-2

ნაწილი 1

N1. [აჩვენეთ ბარათი N1] ზოგადად, რამდენად ბედნიერი ხართ? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „ძალიან უბედური“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ძალიან ბედნიერი“; გთხოვთ, შეარჩიეთ ნებისმიერი კოდი 1-დან 10-მდე, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება თქვენს მდგომარეობას. [RATEHAP]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

_ _	კოდი		
		(არ ვიცი)	-1
		(უარი პასუხზე)	-2

N2. [აჩვენეთ ბარათი N2] როგორ ფიქრობთ, ზოგადად, ადამიანს შეუძლია ენდოს საქართველოში მცხოვრები ხალხის უმეტესობას, თუ, პირიქით, დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ხალხთან ურთიერთობისას? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ხალხთან ურთიერთობისას“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ხალხის უმეტესობას შეგვიძლია ვენდოთ“. [GALLTRU]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

_ _	კოდი		
		(არ ვიცი)	-1
		(უარი პასუხზე)	-2

N3. ზოგადად, როგორ შეაფასებდით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას? როგორც ... [წაიკითხეთ][HLTHRAT]

ძალიან კარგს,	5
კარგს,	4
საშუალოს,	3
ცუდს,	2
თუ ძალიან ცუდს?	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

N4. [აჩვენეთ ბარათი N4] როდესაც ახლო ნათესავებს ან მეგობრებს ხვდებით, რამდენად ხშირად განიხილავთ ერთმანეთის პირად პრობლემებს? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „არასდროს“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ყოველთვის“. [DISCPRPR]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

_ _	კოდი		
		(არ ვიცი)	-1
		(უარი პასუხზე)	-2

N5. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ეროვნებას. გთხოვთ, მითხრათ, მოუწონებდით თუ არა თქვენი ეროვნების წარმომადგენელს საქმიან ურთიერთობებს ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! შეეკითხეთ თანმიმდევრობით თითოეული ეთნიკური ჯგუფის შესახებ ცხრილიდან N5. ჩაწერეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდი ამ ცხრილის N5 სვეტში. გამოიყენეთ კოდი '-1' თუ პასუხია „არ ვიცი“ და კოდი '-2' თუ დაფიქსირდა „უარი პასუხზე“.]

N6. მოუწონებდით თუ არა თქვენი ეროვნების წარმომადგენელ ქალს ქორწინებას ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! შეეკითხეთ თანმიმდევრობით თითოეული ეთნიკური ჯგუფის შესახებ ცხრილიდან N5. ჩაწერეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდი ამ ცხრილის N6 სვეტში. გამოიყენეთ კოდი '-1' თუ პასუხია „არ ვიცი“ და კოდი '-2' თუ დაფიქსირდა „უარი პასუხზე“.]

ცხრილი N5		საქმიან ურთიერთობებს ...	ქალს ქორწინებას ...
		<i>მოუწონებდი 1 არ მოუწონებდი 0</i>	<i>მოუწონებდი 1 არ მოუწონებდი 0</i>
		N5	N6
1.	ამერიკელთან?	[BUSINUSA]	[MARWUSA]
2.	სომეხთან?	[BUSINARM]	[MARWARM]
3.	აზერბაიჯანელთან?	[BUSINAZE]	[MARWAZE]
4.	იტალიელთან?	[BUSINITA]	[MARWITA]
5.	ქართველთან?	[BUSINGEO]	[MARWGEO]
6.	ირანელთან?	[BUSINIRA]	[MARWIRA]
7.	ებრაელთან?	[BUSINJEW]	[MARWJEW]
8.	ქურთთან, იეზიდთან?	[BUSINKUR]	[MARWKUR]
9.	რუსთან?	[BUSINRUS]	[MARWRUS]
10.	თურქთან?	[BUSINTUR]	[MARWTUR]
11.	უკრაინელთან?	[BUSINUKR]	[MARWUKR]
13.	აფხაზთან?	[BUSINABK]	[MARWABK]
14.	ოსთან?	[BUSINOSS]	[MARWOSS]
15.	საქართველოში მცხოვრებ სომეხთან?	[BUSINARG]	[MARWARG]
16.	საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან?	[BUSINAZG]	[MARWAZG]

M1. თქვენი აზრით, უცხოელები, ვინც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან, შეუწყობენ თუ არა ხელს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას?
[IMMIGDEV]

ხელს შეუწყობენ	3
ზოგ შემთხვევაში ხელს შეუწყობენ, ზოგ შემთხვევაში - არა	2
არ შეუწყობენ ხელს	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

M2. [აჩვენეთ ბარათი M2] გაქვთ თუ არა ურთიერთობა საქართველოში ჩამოსულ უცხოელებთან, ვინც აქ 3 თვეზე მეტი დრო იმყოფება? [IMMIGCON]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია ნებისმიერ ურთიერთობაზე უცხოელებთან, ვინც 3 თვეზე მეტი დროითაა ჩამოსული საქართველოში.]

დიახ, ხშირად მაქვს მათთან ურთიერთობა	1
დიახ, იშვიათად მაქვს მათთან ურთიერთობა	2
არა, არასოდეს მქონია მათთან ურთიერთობა	3
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

M3. როგორ შეაფასებდით თქვენს დამოკიდებულებას საქართველოში ჩამოსული უცხოელების მიმართ, ვინც აქ 3 თვეზე მეტი დროით რჩება? როგორც ...
[IMMIGATT]

ძალიან კარგს,	5
კარგს,	4
ნეიტრალურს,	3
ცუდს,	2
თუ ძალიან ცუდს?	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

N7. გყავთ თუ არა ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს? [CLRLABR]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! იგულისხმება საზღვარგარეთ ცხოვრება მინიმუმ 3 თვის მანძილზე.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

N8. გყავთ თუ არა ახლო მეგობარი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს? [CLFRDAB]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! იგულისხმება საზღვარგარეთ ცხოვრება მინიმუმ 3 თვის მანძილზე.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

N9. [აჩვენეთ ბარათი N9] ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ახლანდელი ცხოვრებით? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვარ კმაყოფილი“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ძალიან კმაყოფილი ვარ“. [LIFESAT]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

___ ___ კოდი	
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

N10. [აჩვენეთ ბარათი N10] გთხოვთ, მითხრათ, ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან რომელს უფრო ეთანხმებით? გთხოვთ, აირჩიოთ კოდი 1-დან 10-მდე, სადაც '1' ნიშნავს „ცხოვრებაში ყველაფერი ბედისწერას ემორჩილება“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ადამიანები თავად განაგებენ საკუთარ ბედს“. [FATEINLF]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

___ ___ კოდი	
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

N11. [აჩვენეთ ბარათი N11] ამ ბარათის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ არის მოსალოდნელი“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „სავსებით მოსალოდნელია“, გთხოვთ, მითხრათ, რამდენად მოსალოდნელია, ან რამდენად არ არის მოსალოდნელი, რომ თქვენი ახლო ნათესავები, მეგობრები და მეზობლები ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ თანმიმდევრობით.]

		კოდი	(არ ვიცი)	(უარი)
1.	დაგეხმარებიან თქვენი სახლის ან ბინის რემონტის დროს? [EXPREP] [ინტერვიუერის საყურადღებოდ! იგულისხმება ნებისმიერი დახმარება, მათ შორის ფიზიკური დახმარება, ინფორმაციის მიწოდება, დახმარება კარგი მუშების პოვნაში და ა.შ.]	__ __	-1	-2
2.	მოგივლიან, თუ ავად გახდებით? [EXPILL]	__ __	-1	-2
3.	გასესხებენ ფულს ერთი თვით თქვენი ჩვეულებრივი ხარჯებისთვის? [EXPMON]	__ __	-1	-2

N12. [აჩვენეთ ბარათი N12] ამ ბარათის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „არასდროსაა გამართლებული“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ყოველთვის გამართლებულია“, თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ან არ არის გამართლებული ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაიკითხეთ თანმიმდევრობით.]

		კოდი	(არ ვიცი)	(უარი)
1.	განქორწინება? [JUSDVRS]	__ __	-1	-2
2.	აბორტის გაკეთება? [JUSABOR]	__ __	-1	-2
3.	მეუღლის ღალატი? [JUSSPOUS]	__ __	-1	-2

N13. [აჩვენეთ ბარათი N13] ბოლო დროს განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა შეიძლება საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შესახებ ისეთი გამოკითხვების მეშვეობით, როგორსაც ახლა ჩვენ ვატარებთ. ზოგადად, რამდენად ენდობით ან არ ენდობით მოსახლეობის გამოკითხვების შედეგებს საქართველოში? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „სრულად ვენდობი“. [TRUPOLLR]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

_ _ კოდი		
[არ წაიკითხოთ!] (არ მიესადაგება - არაფერი მსმენია ასეთი გამოკითხვების შესახებ)	-5	გადადით კითხვაზე J1
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

N14. [აჩვენეთ ბარათი N14] თქვენი აზრით, რამდენად ენდობა ან არ ენდობა თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების უმრავლესობა მოსახლეობის გამოკითხვების შედეგებს საქართველოში? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი. [TRUPOLLO]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ კოდი ბარათიდან.]

_ _ კოდი		
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

N15. [აჩვენეთ ბარათი N15] ამ ბარათის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „სრულად ვეთანხმები“, გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს.

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაიკითხეთ თანმიმდევრობით.]

		კოდი:	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1.	მოსახლეობის გამოკითხვები ყველას გვაძლევს საშუალებას, მეტი ცოდნა მივიღოთ იმ საზოგადოების შესახებ, სადაც ვცხოვრობთ. [PLSKNOW]	__ __	-1	-2
2.	ჩვეულებრივი ადამიანები მხოლოდ მაშინ ენდობიან მოსახლეობის გამოკითხვების შედეგებს, როდესაც მათ ეს შედეგები მოსწონთ. [PLLIKEOP]	__ __	-1	-2
3.	მოსახლეობის გამოკითხვების სათანადოდ ჩატარება მხოლოდ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშია შესაძლებელი, მაგრამ არა ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა. [PLSDEMO]	__ __	-1	-2
4.	პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის გამოკითხვების შედეგები. [PLSGVRNM]	__ __	-1	-2
5.	პოლიტიკოსები მხოლოდ მაშინ ენდობიან მოსახლეობის გამოკითხვების შედეგებს, როდესაც ეს შედეგები ხელსაყრელია მათთვის ან მათი პარტიისთვის. [PLLIKEPO]	__ __	-1	-2
6.	ვფიქრობ, საკმაოდ კარგად მესმის, თუ როგორ ტარდება მოსახლეობის გამოკითხვები. [PLSUNDST]	__ __	-1	-2

ნაწილი 2

ახლა კი დაგისვამთ რამდენიმე კითხვას თქვენი საქმიანობის შესახებ.

J1. [აჩვენეთ ბარათი J1] ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია. [EMPLSIT]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი, რომელიც შეესაბამება რესპონდენტის ძირითად საქმიანობას.]

ვარ პენსიონერი და არ ვმუშაობ	1	ჰკითხეთ J2
ვარ სტუდენტი და არ ვმუშაობ	2	
ვარ დიასახლისი და არ ვმუშაობ	3	
ვარ უმუშევარი	4	
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	5	გადადით J6-ზე
ვარ თვითდასაქმებული (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	6	
ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია	7	გადადით J11-ზე
სხვა	8	
<i>(არ ვიცი)</i>	-1	
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2	

J2. რომელი წლიდან არ გაქვთ სამსახური? [UNEMYRS]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ წლის შესაბამისი ოთხნიშნა რიცხვი.]

____|____|____|____| წლიდან

<i>არასოდეს მქონია სამსახური</i>	-5
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

J3. ამჟამად ხართ თუ არა დაინტერესებული სამსახურის პოვნით? [INTSTJOB]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J4. ეძებდით თუ არა სამსახურს ბოლო 4 კვირის განმავლობაში? [LOOKJOB]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩვენ გვინტერესებს, ეძებდა თუ არა რესპონდენტი სამსახურს აქტიურად.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J5. სათანადო სამსახურის გამოჩენის შემთხვევაში, შეძლებდით თუ არა სამსახურის დაწყებას მომავალი 14 დღის განმავლობაში? [JOBSTART]

დიახ	1	-> გადადით J11-ზე
არა	0	
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** კითხვები J6-დან J10-ის ჩათვლით განკუთვნილია მხოლოდ იმ რესპონდენტებისთვის, რომლებიც ამჟამად დასაქმებულები არიან (J1-ში უპასუხეს '5' ან '6').]

J6. [აჩვენეთ ბარათი J6] მხოლოდ თქვენი ძირითადი სამსახურის შესახებ თუ ვისაუბრებთ, რა უფრო შეესაბამება თქვენს სამსახურებრივ სტატუსს და სამსახურის ტიპს? [WORKTYP]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** თუ რესპონდენტს რამდენიმე სამსახური აქვს, კითხვები J6-დან J10-ის ჩათვლით ეხება მხოლოდ მის ძირითად სამსახურს. რესპონდენტმა თავად უნდა განსაზღვროს, რომელია მისი ძირითადი სამსახური. მხოლოდ ერთი პასუხი.]

ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული დაქირავებული თანამშრომლების გარეშე, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.	1
ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული და მყავს დაქირავებული თანამშრომლები, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.	2
ვარ დაქირავებული მუშაკი მცირე ადგილობრივ საოჯახო ბიზნესში / საოჯახო საწარმოში.	3
ვარ დაქირავებული მუშაკი საშუალო ან დიდი ზომის ადგილობრივ კერძო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.	4
ვარ დაქირავებული მუშაკი სახელმწიფო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.	5
ვარ დაქირავებული მუშაკი უცხოურ ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, კომპანიაში, საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში.	6
ვარ დაქირავებული მუშაკი ადგილობრივ ან საერთაშორისო არასამთავრობო / არაკომერციულ ორგანიზაციაში.	7
სხვა	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J7. რომელი წლიდან მუშაობთ ამ სამსახურში? [WORKYRS]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** ჩაწერეთ წლის შესაბამისი ოთხნიშნა რიცხვი. ჩვენ გვინტერესებს, თუ რომელი წლიდან მუშაობს რესპონდენტი ამ დაწესებულებაში, მნიშვნელობა არა აქვს, შეიცვალა თუ არა მისი თანამდებობა. თუ რესპონდენტი ვერ იხსენებს ზუსტ წელს, ჰკითხეთ: „რომელი ათწლეულიდან მუშაობთ ამ სამსახურში?“ და აჩვენეთ ბარათი J7. ჩაწერეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი ოთხნიშნა რიცხვი ბარათიდან.]

____|____|____|____| წლიდან

(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J8. [აჩვენეთ ბარათი J8] ამ ბარათზე მოყვანილთაგან, რა უფრო შეესაბამება იმ სფეროს, რომელშიც მუშაობთ? [WORKSEC]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი.]

სოფლის მეურნეობა, ნადირობა ან მეტყევეობა	1
მეთევზეობა	2
სამთო მრეწველობა	3
მრეწველობა	4
ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება ან წყალმომარაგება	5
მშენებლობა	6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; საავტომობილო საშუალებების, მოტოციკლების, პირადი მოხმარების და საოჯახო ნივთების შეკეთება	7
სასტუმროები, რესტორნები ან კაფეები	8
ტრანსპორტი, ტვირთის გადაზიდვა და შენახვა, ფოსტა	9
ფინანსური მომსახურება / საბანკო საქმე	10
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა	11
მთავრობა, სახელმწიფო მართვა და თავდაცვა	12
განათლება	13
ჯანდაცვა და სოციალური დაცვა	14
სამოქალაქო საზოგადოება / არასამთავრობო ორგანიზაციები	15
მასმედია	16
სხვა	17
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J9. [აჩვენეთ ბარათი J9] ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რომელი უფრო შეესაბამება თქვენ სამუშაოს? [JOBDESC]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი.]

შეიარაღებულ ძალებში მომუშავე პერსონალი (მაგ.: ოფიცერი ან შეიარაღებულ ძალების სხვა თანამშრომელი).	10
არაკვალიფიციური მუშა (მაგ.: შინამოსამსახურე, დამლაგებელი, არაკვალიფიციური მუშა (მათ შორის – სოფლის მეურნეობაში), და ა.შ.).	9
სამრწევლო დანადგარების, მოწყობილობების, მანქანების ოპერატორი / ამწყობი (მაგ.: ამწყობი, მძღოლი და სამრწევლო დანადგარების სხვა ოპერატორი).	8
ხელოსანი და მონათესავე პროფესიების მუშაკი (მაგ.: ელექტრიკოსი, დურგალი, მშენებლობაზე მომუშავე კვალიფიციური მუშა, ლითონგადამამუშავებელი ან მანქანათმშენებელი, კვების წარმოებაში მომუშავე მუშაკი, და ა.შ.).	7
სოფლის მეურნეობის / მეტყევეობის / მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკი (ფერმერი, მეთევზე, მონადირე, შემგროვებელი).	6
მომსახურების ან სავაჭრო სფეროს მუშაკი (მათ შორის – მომვლელი, მიძა და ა.შ.).	5
ოფისში მომუშავე დამხმარე პერსონალი (მომხმარებლებთან მომუშავე ოპერატორი, ციფრული ინფორმაციის დამუშავებით და მასალების აღრიცხვით დაკავებული ოპერატორი, მდივანი/მბეჭდავი, და ა.შ.).	4
შუალედური რგოლის სპეციალისტი ან ტექნიკოსი (მაგ.: საინფორმაციო და კომუნიკაციის სფეროს ტექნიკოსი, შუალედური რგოლის სპეციალისტი ჯანდაცვის, ბიზნესის, სამეცნიერო, საინჟინრო და სამართლის სფეროში).	3
მაღალკვალიფიციური სპეციალისტი (მეცნიერი, ჯანდაცვის, განათლების, ბიზნესის, სამართლის, კულტურის და სხვ. სფეროს სპეციალისტი).	2
მმართველი, ხელმძღვანელი, მენეჯერი (მაგ.: დირექტორი, ხელმძღვანელი პირი, თანამდებობის პირი).	1
<i>სხვა</i>	11
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

J10. [აჩვენეთ ბარათი J10] ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, ზოგადად რამდენად კმაყოფილი, ან რამდენად უკმაყოფილო ხართ თქვენი სამსახურით? [JOBSATFN]

ძალიან უკმაყოფილო ვარ	საკმაოდ უკმაყოფილო ვარ	[საშუალოდ]	საკმაოდ კმაყოფილი ვარ	ძალიან კმაყოფილი ვარ	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	2	3	4	5	-1	-2

ინტერვიუერის საყურადღებოდ!

შემდეგი კითხვები დაუსვით ყველა რესპონდენტს.

J11. [აჩვენეთ ბარათი J11] გასულ თვეში თქვენს პირად ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემოსავლის ყველა წყარო, რაც გასულ თვეში გქონდათ. [PERSINC]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია რესპონდენტის მიერ ხელზე აღებული თანხაზე.]

3000 ლარზე მეტი	1
2001 ლარიდან 3000 ლარამდე	2
1001 ლარიდან 2000 ლარამდე	3
601 ლარიდან 1000 ლარამდე	4
241 ლარიდან 600 ლარამდე	5
121 ლარიდან 240 ლარამდე	6
120 ლარამდე	7
(0)	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J12. გაქვთ თუ არა ამჟამად პირადი დანაზოგი? [SAVPERS]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია რესპონდენტის პირად დანაზოგზე.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J13. გაქვთ თუ არა ამჟამად ვალი? [DEBTPERS]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია რესპონდენტის პირად ვალზე, თუნდაც ეს იყოს ნისია მაღაზიიდან.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J14. მართებს თუ არა ამჟამად ვინმეს თქვენი ფული? [OWEMON]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J15. გაქვთ თუ არა ამჟამად ანგარიში ბანკში ან საბანკო ბარათი? [BANKACC]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J16. [აჩვენეთ ბარათი J16] ამ პირობებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად საქართველოში კარგი სამსახურის საშოვნელად? [GETJOB]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი.]

ასაკი	1
გარეგნობა	2
ნაცნობობა	3
განათლება	4
შრომისმოყვარეობა	5
გამართლება	6
ნიჭი	7
პროფესიონალიზმი, სამუშაო გამოცდილება	8
საჭირო ხალხის პატივისცემა	9
სხვა	10
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J17. დაიწყო თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრმა ახალი სამსახური ბოლო 12 თვის განმავლობაში? [NEWHHJOB]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

J18. დაკარგა თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრმა სამსახური ბოლო 12 თვის განმავლობაში? [JOBLOST]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ნაწილი 3

P1a. [აჩვენეთ ბარათი P1a] არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? [POLDIRN]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი.]

პოლიტიკა უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის.	5
პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის.	4
პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება.	3
პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის.	2
პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის.	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P1b. [აჩვენეთ ბარათი P1b] ამ ბარათზე მოყვანილია ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულება. რომელ მათგანს ეთანხმებით, და რამდენად? გთხოვთ, შეარჩიოთ კოდი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს შეხედულებას.

[EVENTUAL]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მხოლოდ ერთი პასუხი.]

საქართველოში არსებული მდგომარეობა ვერასოდეს გამოსწორდება.	საბოლოო ჯამში, საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება.	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1 2 3 4 5 6 7 8 9 10		-1	-2

P2. [აჩვენეთ ბარათი P2] ამ ბარათის მეშვეობით გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად კარგად აწვდიან ქართველი ტელეჟურნალისტები მოსახლეობას ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ?

[QUALINF]

ძალიან ცუდად	საკმაოდ ცუდად	საშუალოდ	საკმაოდ კარგად	ძალიან კარგად	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	2	3	4	5	-1	-2

P3. [აჩვენეთ ბარათი P3] რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ, ზოგადად, ქართველი ტელეჟურნალისტები თქვენნაირი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი. [TVSRVPP]

საერთოდ არ ვეთანხმები	ძირითადად არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ - არა	ძირითადად ვეთანხმები	სრულად ვეთანხმები	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	2	3	4	5	-1	-2

P4. [აჩვენეთ ბარათი P4] ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო კოდი '5' – პასუხს „სრულად ვენდობი“. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თანმიმდევრობით წაიკითხეთ სოციალური ინსტიტუტები და პოლიტიკური გაერთიანებები.¹ ერთი პასუხი ყოველ მწკრივში.

თუ რესპონდენტს არასოდეს სმენია ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტის ან პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, შემოხაზეთ კოდი '-1' („არ ვიცი“).

როტაციის კოდი: [ROTCODE] 1 18

ცხრილი P4

		საერთოდ არ ვენდობი	ძირითადად არ ვენდობი	ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ არა	ძირითადად ვენდობი	სრულად ვენდობი	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1.	ჯანდაცვის სისტემას? [TRUHLTH]	1	2	3	4	5	-1	-2
2.	ბანკებს? [TRUBANK]	1	2	3	4	5	-1	-2
3.	განათლების სისტემას? [TRUEDUC]	1	2	3	4	5	-1	-2
4.	გამოცდების ეროვნულ ცენტრს? [TRUNAEC]	1	2	3	4	5	-1	-2
5.	ჯარს? [TRUARMY]	1	2	3	4	5	-1	-2

¹ პროგრამა უზრუნველყოფდა, რომ სოციალური ინსტიტუტები და პოლიტიკური გაერთიანებები დასახელებულიყო პირდაპირი ან უკუთანმიმდევრობით და ინიშნავდა როტაციის კოდს.

6.	სასამართლო სისტემას? [TRUCRTS]	1	2	3	4	5	-1	-2
7.	არასამთავრობო ორგანიზაციებს? [TRUNGOS]	1	2	3	4	5	-1	-2
8.	პარლამენტს? [TRUPARL]	1	2	3	4	5	-1	-2
9.	აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრემიერ მინისტრსა და მინისტრებს) ? [TRUEXEC]	1	2	3	4	5	-1	-2
10.	პრეზიდენტს? [TRUPRES]	1	2	3	4	5	-1	-2
11.	პოლიციას? [TRUPOLI]	1	2	3	4	5	-1	-2
12.	პოლიტიკურ პარტიებს? [TRUPPS]	1	2	3	4	5	-1	-2
13.	მასმედიას? [TRUMEDI]	1	2	3	4	5	-1	-2
14.	ადგილობრივ ხელისუფლებას? [TRULOCG]	1	2	3	4	5	-1	-2
15.	თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს? [TRURELI]	1	2	3	4	5	-1	-2
16.	სახალხო დამცველს? [TRUOMB]	1	2	3	4	5	-1	-2
17.	ევროკავშირს? [TRUSTEU]	1	2	3	4	5	-1	-2
18.	გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაეროს)? [TRUSTUN]	1	2	3	4	5	-1	-2

P5a. თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში? [IMPISS1]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შემოხაზეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდი სვეტში **P5a**. ერთი პასუხი.]

P5b. და რომელი პრობლემაა მნიშვნელოვანით მეორე ადგილზე? [IMPISS2]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შემოხაზეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდი სვეტში **P5b**. არ შემოხაზოთ იგივე ვარიანტი, რაც სვეტში P5a. მხოლოდ ერთი პასუხი.]

	P5a	P5b
ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	1	1
კორუფცია	2	2
სასამართლოების სამართლიანობის უზრუნველყოფა	3	3
არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფა	4	4
ადამიანის უფლებების დარღვევები	5	5
უმუშევრობა	6	6
ნატო-ში გაწევრიანება	7	7
ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფის სირთულე	8	8
დაბალი პენსიები	9	9
პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში	10	10
სიღარიბე	11	11
საკუთრების უფლების დარღვევა	12	12
განათლების დაბალი ხარისხი	13	13
პროფესიული ან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა	14	14
რუსეთთან პრობლემური ურთიერთობა	15	15
ფასების ზრდა / ინფლაცია	16	16
მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები	17	17
დაბალი ხელფასები	18	18
რელიგიური შეუწყნარებლობა	19	19
გენდერული უთანასწორობა	20	20
ემიგრაცია	21	21
სხვა	22	22
(არ მიესადაგება / სხვა არაფერი არ არის მნიშვნელოვანი)		-5
(არ ვიცი)	-1	-1
(უარი პასუხზე)	-2	-2

P6. [აჩვენეთ ბარათი P6] როდესაც მეგობრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად ხართ, რამდენად ხშირად განიხილავთ პოლიტიკას და მიმდინარე მოვლენებს? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „არასდროს“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ყოველთვის“. [DISCPOL]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდი ბარათიდან.]

___	___	კოდი	
		(არ ვიცი)	-1
		(უარი პასუხზე)	-2

M7. საქართველოს მთავრობა ახორციელებს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესს ევროკავშირთან. თქვენი აზრით, მოუტანს თუ არა სარგებელს საქართველოში მცხოვრებ რიგით ადამიანებს ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას? [VLABENF]

დიახ	1	
არა	0	
[არ წაუკითხოთ!] არ ვიცი, რა არის ვიზა ლიბერალიზაცია	-5	გადადით კითხვაზე P7
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

M8. ახლა წაგიკითხავთ რამდენიმე დებულებას ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ. თქვენი აზრით, მართალია თუ არა შემდეგი ინფორმაცია:

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ თანმიმდევრობით. ერთი პასუხი ყოველ მწკრივში.]

	მართალია	არ არის მართალი	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1. ვიზა ლიბერალიზაცია ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეები ადვილად აიღებენ ევროკავშირის ქვეყნების ვიზებს. [TFVISEAS]	1	0	-1	-2
2. ვიზა ლიბერალიზაცია ნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ვიზის გარეშე შემოვიდნენ საქართველოში. [TFEUNOVS]	1	0	-1	-2

3.	ვიზა ლიბერალიზაცია ნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საქართველოს მოქალაქეებს უფლება ექნებათ, ვიზის გარეშე იმოგზაურონ ევროკავშირის ქვეყნებში. [TFGENOVS]	1	0	-1	-2
4.	ვიზა ლიბერალიზაცია ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ წასულ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის და ცხოვრების უფლება ექნებათ, ისე რომ აღარ დასჭირდებათ იქ დამატებითი საბუთების მოთხოვნა. [TFGERES]	1	0	-1	-2
5.	ვიზა ლიბერალიზაციით სარგებლობა საქართველოს მხოლოდ იმ მოქალაქეებს შეეძლება, ვისაც საზღვარგარეთის ბიომეტრული პასპორტი აქვს. [TFGEBIOM]	1	0	-1	-2
6.	ვიზა ლიბერალიზაციის პირობები მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ ევროკავშირის ქვეყნებში ყოფნის ხანგძლივობა 3 თვეს არ აღემატება. [TFVISTRE]	1	0	-1	-2

P7. როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თქვენნაირ ადამიანებს აქვთ თუ არა უფლება, რომ ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ? [FREESPK]

	დიახ	1
	არა	0
	(არ ვიცი)	-1
	(უარი პასუხზე)	-2

P8. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა თქვენაირ ადამიანებს? თქვენ ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმებით, ძირითადად ეთანხმებით, ძირითადად არ ეთანხმებით თუ საერთოდ არ ეთანხმებით? [FAIRTRT]

სრულად ვეთანხმები	4
ძირითადად ვეთანხმები	3
ძირითადად არ ვეთანხმები	2
საერთოდ არ ვეთანხმები	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P9. [აჩვენეთ ბარათი P9] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? [GOVTROL]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: “თქვენ სრულად ეთანხმდებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?” მხოლოდ ერთი პასუხი.]

მოსაზრება 1: ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე.		მოსაზრება 2: მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას.	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P10. [აჩვენეთ ბარათი P10] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? [OBJCOUR]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: “თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?” მხოლოდ ერთი პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა ყველა მოქალაქეს, ზოგს უპირატესობას ანიჭებს, ზოგს - არა.		<u>მოსაზრება 2:</u> საქართველოს სასამართლოები ყველა მოქალაქეს ერთნაირად ეპყრობა და არავის ანიჭებს უპირატესობას.	
<i>სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>	<i>სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P11. [აჩვენეთ ბარათი P11] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? [PROTEST]

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: “თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?” მხოლოდ ერთი პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა.		<u>მოსაზრება 2:</u> ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში.	
<i>სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>	<i>სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არცერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P12. მომავალ კვირას რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? თქვენ ... [წაიკითხეთ] [VOTPRCP]

აუცილებლად მიიღებდით მონაწილეობას,	4
ალბათ, მიიღებდით მონაწილეობას,	3
